ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 29
10/11/2017

29-08-4-201711101610

დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, შემოღებულ იქნეს „საგზაო ნიშნები“ და „საგზაო მონიშვნები“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილების ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმსრულებელმა ორგანომ უზრუნველყოს ამ დადგენილების დანართით

გათვალისწინებული საგზაო ნიშნების განთავსებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა